თხრობითი ტექსტის გაგება-გააზრება

დაკვირვებით წაიკითხე ტექსტი და უპასუხე შეკითხვებს.

ოჯახი

ეს გიას ოჯახია. გიას ჰყავს დედა, მამა, და და ძმა. გიას დას ეკა ჰქვია, ძმას - ლუკა. ეკა და ლუკა გიაზე უფროსები არიან. ისინი სკოლაში დადიან. გია პატარაა. ის ჯერ არ დადის სკოლაში.

ეკას და ლუკას ლამაზი ჩანთები აქვთ. ჩანთებში წიგნები და რვეულები აქვთ. ისინი ყოველდღე მეცადინეობენ. გიას უნდა სკოლაში სიარული. ის ყოველ დილით ტირის:

- მე რატომ არ დავდივარ სკოლაში?
- იმიტომ, რომ პატარა ხარ, - ეუბნება ლუკა.
- მეც მინდა ახალი ჩანთა და წიგნები, მეც მინდა სკოლაში!
- 6 წლის რომ გახდები, შენც წახვალ, - ამშვიდებს დედა.
- მე ახლა მინდა! - ტირის გია.
- თუ გინდა, სახლში გავაკეთოთ პატარა სკოლა. მე გასწავლი კითხვას, - ეუბნება ეკა.

გიას ძალიან უხარია.

ეკამ ნახატებიანი წიგნი მისცა გიას. მამამ რვეული უყიდა. ახლა გია ეკასთან ერთად სწავლობს კითხვას.

LIVEWORKSHEETS

წაიკითხე შეკითხვები. შეარჩიე სწორი პასუხი და შემოხაზე შესაბამისი ასო (ა, ბ ან გ).

1. რას ვიგებთ I აბზაციდან?

ა) რამდენი წევრია გიას ოჯახში.
ბ) რამდენი წლის არის გია.
გ) რომელია შვილებიდან უფროსი.

2. რატომ არ დადის გია სკოლაში?

ა) იმიტომ, რომ პატარაა.
ბ) იმიტომ, რომ რვეული არ აქვს.
გ) იმიტომ, რომ წიგნი არ აქვს.

3. რატომ ტირის გია ყოველ დილით?

ა) იმიტომ, რომ ეკას ლამაზი ჩანთა აქვს.
ბ) იმიტომ, რომ კითხვა არ იცის.
გ) იმიტომ, რომ სკოლაში უნდა წასვლა.

4. როდის წავა გია სკოლაში?

ა) როცა 6 წლის იქნება.
ბ) როცა კითხვას ისწავლის.
გ) როცა ჩანთა და წიგნები ექნება.

5. მამამ პატარა გია გაახარა იმით, რომ:

ა) კითხვა ასწავლა.
ბ) ნახატებიანი წიგნი მისცა.
გ) რვეული უყიდა.

6. როგორი წიგნით სწავლობს გია კითხვას?

ა) ლამაზი. ბ) ნახატებიანი. გ) პატარა.

LIVEWORKSHEETS

7. ვისთან ერთად სწავლობს გია კითხვას?

ა) ეკასთან ერთად. ბ) ლუკასთან ერთად. გ) მამასთან ერთად.

8. რა გაუხარდა გიას?

ა) ის, რომ ეკას წიგნები უყიდეს.

ბ) ის, რომ ლუკას ახალი ჩანთა უყიდეს.

გ) ის, რომ პატარა სკოლის გაკეთებას შეჰპირდნენ.

LIVEWORKSHEETS